



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო  
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/4048  
25/06/2021

4048-09-2-202106251649



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს  
საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო  
დეპარტამენტის უფროსს  
ბატონ ლევან ძნელაძეს  
მის: თბილისი უნივერსიტეტის ქ. N2ა

### **ბატონო ლევან,**

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ სურსათის სარეალიზაციო ობიექტებიდან და საწარმოებიდან აღებულ იქნა სხვადასხვა დასახელების სურსათის ნიმუშები და ლაბორატორიული კვლევის მიზნით გადაეცა სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიას (მის: ქ. თბილისი, ვ. გომიაშვილის ქ. №49).

ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 3 ნიმუში რძის ცხიმის გარდა შეიცავს სხვა ცხიმების ნარევს, მათ შორის მცენარეულ ცხიმებს:

1. კარაქი უმაღლესი ხარისხის, ცხიმის მასური წილი 82%, დამზადების თარიღი: 15.11.2020; გამოცდის ოქმი №3483/1 23.06.2021; მწარმოებელი: სს „სლუცკის ყველის კომბინატი“, ბელორუსი ქ. სლუცკი, დისტრიბუტორი: შპს „დავითი“ (ს/კ 446967774 მის. ქ. ბათუმი ტაბიძის ქუჩა № 56).
2. გურჯაანის ნაყინი „პლომბირი ვანილის არომატი“ - დამზადების თარიღი: 02/06/2021; გამოცდის ოქმი №3495/1 22.06.2021; მწარმოებელი: შპს „აისი“ (მის: ქ. გურჯაანი, ვედოშვილის ქ. № 37, ს/კ 227721310);
3. ნაყინი „პინგო“ (ბრიკეტი) - დამზადების თარიღი: 15/03/2021; გამოცდის ოქმი: №3523/1 22.06.2021; მწარმოებელი: შპს „4 ბროსი“ (ს/კ 427721245; მის: ქ. თბილისი, ლილოს დასახლება, ორახელაშვილის №5).

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის №152 დადგენილებით დამტკიცებული „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-ს თანახმად, „სურსათის ეტიკეტზე დასახელება რძე, მშრალი რძე (რძის ფხვნილი), ნაღები, არაჟანი, მაწონი, იოგურტი, კეფირი, კარაქი, ერბო, დო, ხაჭო, ყველი, შესქელებული რძე, შრატი, რძის ცხიმი, კაზეინი, გაუწყლოებული რძის ცხიმი, კუმისი და სხვა, რომელთა წარმოება ხდება ამ რეგლამენტის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ასევე ამ დასახელებების გამოყენებით შედგენილი რთული დასახელებები, გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ რძისა და რძის ნაწარმისათვის. კარაქის დასამზადებლად საჭირო ნედლეულად გამოყენებული უნდა იქნეს რძე და რძის შემადგენელი კომპონენტები, ხოლო რძის ცხიმის გარდა სხვა ცხიმის, მათ შორის, მცენარეული ცხიმის გამოყენება აკრძალულია.

ლაბორატორიული კვლევის შედეგად აღნიშნულ ნიმუშებში აღმოჩნდა მცენარეული ცხიმები, რომლის გამოყენების შესახებ ინფორმაცია ეტიკეტზე ჩამოთვლილ ინგრედიენტებში არ არის მითითებული, რაც წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილებით დამტკიცებული „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“ ტექნიკური რეგლამენტის დარღვევას.


ზემოაღნიშნული ფაქტები შესაძლოა შეიცავდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე, 198-ე, 219-ე და 362-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ნიშნებს.

გთხოვთ, თქვენს რეაგირებას.

დანართი: ლაბორატორიული გამოცდის ოქმი - 3ფ.

პატივისცემით,

გიორგი იაკობაშვილი



სააგენტოს უფროსი - მ.შ.





საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო  
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/4755  
21/07/2021

4755-09-2-202107211650



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის  
საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსს  
ბატონ ლევან მნელაძეს  
მის: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2

ბატონო ლევან,

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის (მონიტორინგი) გეგმის ფარგლებში რძესა და რძის პროდუქტებში რძის ცხიმის სისუფთავის განსაზღვრის მიზნით სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელდა ნიმუშების აღება. სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ 2021 წელს სურსათის სარეალიზაციო ობიექტებიდან და საწარმოებიდან აღებულ იქნა სხვადასხვა დასახელების სურსათის ნიმუშები.

აღნიშნული ნიმუშები ლაბორატორიული კვლევის მიზნით გადაეცა სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიას (მის: ქ. თბილისი, ვ. გომიაშვილის ქ. №49). ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 2 ნიმუში რძის ცხიმის გარდა შეიცავს სხვა ცხიმების ნარევს, მათ შორის მცენარეულ ცხიმებს, კერძოდ:

1) სულგუნი: დამზადების თარიღი 13.07.2021 ვარგისიანობის ვადა - 20.07.2021; გამოცდის ოქმი №4416 19.07.2021; მწარმოებელი: ვაქტიური მისამართი: ქვემო ქართლი, ბოლნისის რაიონი სოფელი რატევანი.

2) ყველი იმერული: დამზადების თარიღი 13.07.2021 ვარგისიანობის ვადა - 14 დღე. გამოცდის ოქმი №4418 19.07.2021; მწარმოებელი: რკ „ქალთა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი დისველი“ ს/კ 425359444 ვაქტიური მისამართი: ქვემო ქართლი, ბოლნისის რაიონი სოფელი დისველი.

„რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ 2015 წლის 3 აპრილის №152 საქართველოს მთავრობის დადგენილების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: „სურსათის ეტიკეტზე დასახელება რძე, მშრალი რძე (რძის ფხვნილი), ნაღები, არაჟანი, მაწონი, იოგურტი, კეფირი, კარაქი, ერბო, დო, ხაჭო, ყველი, შესქელებული რძე, შრატი, რძის ცხიმი, კაზეინი, გაუწყლოებული რძის ცხიმი, კუმისი და სხვა, რომელთა წარმოება ხდება ამ რეგლამენტის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ასევე ამ დასახელებების გამოყენებით შედგენილი რთული დასახელებები, გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ რძისა და რძის ნაწარმისათვის“.

ლაბორატორიული კვლევის შედეგად აღნიშნულ ნიმუშებში აღმოჩდა მცენარეული ცხიმები, რომლის გამოყენების შესახებ ინფორმაცია ეტიკეტზე ჩამოთვლილ ინგრედიენტებში არ არის მითითებული, რაც არღვევს „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №301 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.


ზემოაღნიშნული ფაქტები შესაძლოა შეიცავდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს.

გთხოვთ, თქვენს რეაგირებას.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი იაკობაშვილი



სააგენტოს უფროსი - მ.შ.





საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო  
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/5021  
30/07/2021

5021-09-2-202107301329



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს  
საგამოძიებო სამსახურის  
საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსს  
ბატონ ლევან ძნელაძეს  
მის: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2ა

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, რომ სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის (მონიტორინგი) განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, ხორცისა და ხორცის პროდუქტებში სახეობრივი კვლევის (ფრინველის ხორცის იდენტიფიცირება) პროგრამის ფარგლებში თბილისის საქალაქო სამსახურის უფლებამოსილი პირების მიერ ა/წ ივლისის თვეში სურსათის სარეალიზაციო და საზოგადოებრივი კვების ობიექტებიდან აღებულ იქნა სურსათის ნიმუშები. ასევე, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის (მონიტორინგი) გეგმის შესრულების მიზნით, განხორციელდა ნიმუშების აღება „რძის ცხიმის სისუფთავის განსაზღვრა რძესა და რძის პროდუქტებში“ პროგრამის ფარგლებში. სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ 2021 წელს სურსათის სარეალიზაციო ობიექტებიდან და საწარმოებიდან აღებულ იქნა სხვადასხვა დასახელების სურსათის ნიმუშები.

ნიმუშები ლაბორატორიული კვლევის მიზნით გადაეცა „სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია“-ს (მის: ქ.თბილისი, ვასო გომიაშვილის ქ. №49). ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 2 ნიმუში რძის ცხიმის გარდა შეიცავს სხვა ცხიმების ნარევს, მათ შორის მცენარეულ ცხიმებს, ხოლო 1 ნიმუშში აღმოჩნდა ქათმის დნმ:

1. სულგუნი დამზადების თარიღი 14.07.2021 ვარგისიანობის ვადა - 15 დღე. გამოცდის ოქმი №4469 22.07.2021; მწარმოებელი: ფაქტიური მისამართი: ქვემო ქართლი, ბოლნისის რაიონი სოფელი რატევანი.

2. ყველი ქარხნული დამზადების თარიღი 02.06.2021 ვარგისიანობის ვადა - 31.07.2021. გამოცდის ოქმი №4529 22.07.2021; მწარმოებელი: შპს „წიფორა-სამცხე“ ს/კ 424066003 ფაქტიური მისამართი: ახალციხის რაიონი, სოფელი ურაველი.

3.

ზემოაღნიშნული ფაქტები შესაძლოა შეიცავდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს.

გთხოვთ, თქვენს რეაგირებას.

დანართი: 3 ფურცელი.

პატივისცემით,

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი

